საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№166 2017 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

დ. ქუმსიშვილისათვის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს დიმიტრი ქუმსიშვილს მიენიჭოს „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დ. ქუმსიშვილისთვის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ სასესხო შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის N40 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი